დანართი №1

კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები

დამტკიცებულია

დირექტორის 2026 წლის 15 იანვრის,

№260115/01 ბრძანებით

კოლეჯის მისია

შპს ,,უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის'' მისიაა მოამზადოს თანამედროვე პროფესიული და ტრანსვერსალური კომპეტენციების მქონე, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული, კონკურენტუნარიანი და პასუხისმგებლიანი სპეციალისტები, რომლებიც ხელს უწყობენ შრომის უსაფრთხოების კულტურის დამკვიდრებას, გარემოს დაცვას, ეკონომიკურ განვითარებასა და საზოგადოების მდგრად პროგრესს.

კოლეჯის ხედვა

2032 წლისთვის ვიყოთ პროფესიული განათლების ერთ-ერთი წამყვანი და ინოვაციური ცენტრი საქართველოში, რომელიც ამზადებს თანამედროვე ტექნოლოგიებთან ადაპტირებულ, მაღალი პროფესიული კომპეტენციის, სოციალური პასუხისმგებლობის მქონე და შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის კულტურის გამავრცელებელ კადრებს, რომლებიც წარმატებით პასუხობენ ეროვნული და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

კოლეჯის ღირებულებები

1. **უსაფრთხოება და ადამიანის კეთილდღეობა**

ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა და უსაფრთხო სამუშაო გარემო ჩვენი საქმიანობის უმთავრესი პრიორიტეტია. ჩვენ ვზრდით უსაფრთხოების კულტურას და ხელს ვუწყობთ შრომის უსაფრთხოების პრინციპების დანერგვას როგორც სასწავლო, ისე პროფესიულ საქმიანობაში.

2. **გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა და მდგრადი განვითარება**

ვზრუნავთ გარემოზე და ხელს ვუწყობთ მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვას. ვქმნით გარემოსდაცვის მიმართულებით პასუხისმგებლიან მოქალაქეებსა და პროფესიონალებს.

3. პროფესიონალიზმი და ხარისხი

ვუზრუნველყოფთ მაღალი ხარისხის პროფესიულ განათლებას, რომელიც ეფუძნება თანამედროვე სტანდარტებს, პრაქტიკულ გამოცდილებას, ხარისხის კულტურასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

4. ინოვაცია და უწყვეტი განვითარება

მუდმივად ვნერგავთ თანამედროვე ტექნოლოგიებს, სწავლებისა და შეფასების ინოვაციურ მიდგომებს და ხელს ვუწყობთ უწყვეტ სწავლებას.

5. სოციალური პასუხისმგებლობა და ეთიკა

ვმოქმედებთ სამართლიანობის, პატივისცემის, თანასწორობის, კეთილსინდისიერებისა და პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვით და ხელს ვუწყობთ პასუხისმგებლიანი მოქალაქეების ჩამოყალიბებას.

6. პარტნიორობა და თანამშრომლობა

ვავითარებთ თანამშრომლობას დამსაქმებლებთან, პროფესიულ ასოციაციებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სახელმწიფო და კერძო სექტორთან, რათა უზრუნველვყოთ განათლებისა და შრომის ბაზრის ეფექტიანი კავშირი.

7. სტუდენტზე ორიენტირებულობა

ვაღიარებთ თითოეული პროფესიული სტუდენტის უნიკალურ შესაძლებლობებს, ვქმნით თანასწორ, ინკლუზიურ და მხარდამჭერ გარემოს მისი პროფესიული, პიროვნული და კარიერული განვითარებისათვის.